შენიშვნა - ცხრილში მოცემული მოსახლეობისა და უმუშევრობის დონის შესახებ ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდიდანwww.geostat.ge, ინფორმაცია მოცემულია 2018 წლის მდგომარეობით, მოსახლეობის რაოდენობა მოცემულია ათასებში, ხოლო უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით მოცემულია იმ დაშვებით რომ თვითდასაქმებულების რაოდენობა არ არის გათვალისწინებული დასაქმებულებში.

„მაგნიტი“, როგორც რეგიონში ძლიერი ბრენდი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის უკეთესად ცხოვრებას, ქმნის ახალ შესაძლებლობებს დასაქმების, პროფესიული განვითარების, განათლების კუთხით. კომპანიას შეაქვს თანამედროვეობა და სიახლეები, შეაქვს ისეთი პროდუქტები რაც მათთვის აქამდე მარტივად ხელმისაწვდომი არ იყო.
ქმნის ახალ ინფრასტრუქტურას საინტერესო საყიდლებზე სიარულის გამოცდილებისთვის.

2. სუბიექტის სამომავლო განვითარების გეგმები;

2019 და შემდგო წლებში კომპანია კვლავ რჩება მისი ძირითადი სტრატეგიის ერთგული, რაც გულისხმობს ქსელის რეგიონალურად განვითარებას.

2019 წლის მდგომარეობით დამატებით ათვისებულია ახალი რეგიონი - აჭარა, ხოლო 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის სუპერმარკეტების რაოდენობა 193 ერთეულს ითვლის.

გარდა ახალი სუპერმარკეტების გახსნისა, კომპანია 2019 და შემდგომ წლებში ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის დახვეწაზე, მომხმარებლებისთვის უფრო სრულყოფილი და ფართო ასორტიმენტის პროდუქციის შეთავაზებაზე. პროცესების დახვეწასა და სუპერმარკეტების მერჩანდაიზინგულ სტანდარტიზაციაზე,

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი გზა არის თანამშრომლების მუდმივი ტრეინინგი, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, რასაც კომპანია მოახდენს საკუთარი ხარჯებით.

მოსახლეობისთვის ოპტიმალური ასორტიმენტის შეთავაზება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა კომპანიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს „რითეილ ჯგუფი" ცდილობს მომხმარებელს მაქსიმალურად დაბალი ფასი შესთავაზოს, მისი სტრატეგიის ნაწილი არ არის მაღაზიაში შეზღუდული რაოდენობის ბრენდების შემოყვანა და მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვა.

გარდა ამისა, 2019 და შემდგომ წლებში კომპანია აპირებს ბაზარს შესთავაზოს სხვადასხვა სიახლეები და მარკეტინგული აქტივობები.

3. სუბიექტის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების განხილვა;

2018 წელს კომპანიას მნიშვნელოვანი აქტიუროობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებით არ ჰქონია. ძირითადად ინოფმაციას იღებდა სახელმწიფოს სტატისტიკური მონაცემების საშუალებით.

4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიის სუპერმარკეტების ქსელი, როგორც პირველ პუნქტშია აღნიშნული მდებარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით, საქართველოს რვა რეგიონსა და თბილისში.

ყველა სუპერმარკეტი წარმოდგენილია დაახლოებით ერთნაირი კონცეფციით. კომპანია ინარჩუნებდა პროდუქციის ძირითადად ერთნაირ ასორტიმენტს ყველა სუპერმარკეტში, ერთიანი საფასო პოლიტიკითა და მოხმარებლებისთვის შეთავაზებული ერთნაირი და ერთდროული აქციებით.

საანგარიშო წელს არსებული სუპერმარკეტების საშუალო ფართი შეადგენს 200 კვ.მ.-ს.

5. საკვანძო ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ვინაიდან 2018 წელი არის კომპანიის არსებობის პირველი წელი, შესადარისი ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი)

1) კომპანიის საერთო მოგება შეადგენს 10.7 მილიონ ლარს, შესაბამისად, საერთო მოგების მარჟა იყო 15.4%.
2) მთლიანი შემოსავლების 100 % მოდის უშუალოდ მა ღაზიიდან საბ ოლოო მ ომხმარებელზე პროდუქციის გაყიდვაზე. ასეთი სახის რეალიზაციამ 2018 წელს შეადგინა დღგ-ს გარეშე 69.4 მლნ ლარი
3) სხვა შემოსავლის 74%-ს შეადგენს შემოსავალი იჯარიდან (0.26 მილიონი ლარი).
4) გარდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა, ყველაზე მსხვილი ხარჯის მუხლი არის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც მთლიანი ხარჯების 15%-ს შეადგენს და 2018 წელს 10.9 მლნ ლარის ტოლია.
    a. აღნიშნული ხარჯიდან ყველაზე მსხვილია სუპერმარკეტების თანამშრომლების ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული სხვა განაცემები - 3.8 მლნ ლარი
    b. ასევე მსხვილი წილი უჭირავს ამ ხარჯებში სუპერმარკეტების იჯარას, რომელიც 2018 წელს 2.4 მლნ ლარი შეადგენს.
5) კომპანიის ფიქსირებული აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15.2 მლნ ლარს. აღნიშნული კაპიტალური დაბანდებები სრულად განხორციელებულია 2018 წელს და ემსახურებოდა ახალი სუპერმარკეტების გახსნას მთელი საქართველოს მასშტაბით
6) კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება შეადგენს 12.9 მლნ ლარს. ეს პროდუქცია გადანაწილებულია კომპანიის მიერ ოპერირებად 117 სუპერმარკეტსა და ორ საწყობში.
7) კომპანიას ასევე ჰყავს დებიტორები, რომელიც არის მომწოდებლებისგან მისაღები რეტრო ბონუსების თანხები. აღნიშნული აქტივის მოცულობამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2.8 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ იგივე კომპანიები ფიგურირებენ სავაჭრო ვალდებულებების ნაწილშიც - ჯამური სავაჭრო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 18.6 მლნ ლარის ტოლია
8) კომპანია 2018 წელს სარგებლობდა სს „თიბისი ბანკი"-ს საკრედიტო ხაზით 5 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული საკრედიტო ხაზი არის ერთ წლიანი, თუმცა შინაარსობრივად გრძელვადიანი კრედიტია, ვინაიდან ვადის გასვლისას უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება ანალოგიური პირობებით

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

1) 2018 წლის დასასრულს კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 1,700 თანამშრომელი, ხოლო 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა უტოლდება 3,000 ადამიანს.
2) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა 74% ქალია, ხოლო 26% მამაკაცი.
3) დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით გადანაწილებულია დაახლოებით იგივე პროპორციით, როგორც გადანაწილებულია სუპერმარკეტების რაოდენობები

4) 2017 წელს კომპანიას ჰყავდა ორი თანამშრომელი, შესაბამისად, საშუალოდ ყოველთვიურად 2018 წელს ასაქმებდა 140 ადამიანს.
5) შპს „რითეილ ჯგუ ფი“ ო რიენტირებული არ არის უძრავ ქონებაში თ ანხის დაბანდებაზე, კომპანიის სტრატეგიაა სუპერმარკეტების ქსელის განვითარება. შესაბამისად კომპანიის 117 სუპერმარკეტიდან მხოლოდ ორი არის საკუთრებაში, დანარჩენი სუპერმარკეტები აღებულია იჯარით.

6. დეტალური ინფორმაცია მისი აქციების შეძენის შესახებ

ეს ინფორმაცია კომპანიისთვის არარელევანტურია

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, რაც გამოიხატება შემდეგში:
1) კომპანიის ვალდებულებების 100% დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში;
2) კომპანია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შევიდა ისეთ რეგიონებში, სადაც ორგანიზებული საცალო ვაჭრობა არ არსებობდა. აქედან გამომდინარე მას ჰყავს ლოიალური მომხმარებლები, რამდენადაც ეს ამ სექტორში შესაძლებელია;
3) ბრენდის ცნობადობა საკმაოდ მაღალია იმ რეგიონებში, სადაც სუპერმარკეტი „მაგნიტი“ ოპერირებს;
4) კომპანია არ არის დამოკიდებული დებიტორებისგან თანხების დროულად მიღებაზე. მისი დებიტორების აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ თავად შპს „რითეილ ჯგუფი“-ს აქვს კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღემატება დებიტორულ დავალიანებას.

8. სუბიექტის კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების განხილვა მისი მენეჯმენტისთვის

1) კომპანიას ფაქტიურად არ აქვს საკრედიტო რისკი, ვინაიდან მისი გაყიდვების 99% მოდის საბოლოო მომხმარებელზე მყისიერი გადახდის პირობით.

2) ლიკვიდურობის რისკი შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც კომპანიის ბალანსის სტრუქტურაში აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილში ვადიანობები მკვეთრად აცდენილია ერთმანეთს. 2018 წლის საბალანსო უწყისში ეს არ იკვეთება, ვინაიდან კომპანიის კაპიტალი შეადგენს გრძელვადიანი აქტივების 79%-ს. მიმდინარე ვალდებულებებში ფიქსირდება სს „თიბისი ბანკი“-ს 5 მლნ ლარის მოკლევადიანი სესხი, რომელიც გაცემულია 1 წლის ვადით, თუმცა ყოველწლიური განახლების პირობით. ეს ვალდებულებაც მისი შინაარსიდან გამომდინარე არის გრძელვადიანი, თუმცა დაკონტრაქტებულია 1 წლიანი ვადით და გაგრძელდება/ჩანაცვლდება ვადის გასვლის შემდეგ.

3) საბაზრო რისკად შეგვიძლია განვიხილოთ გაცვლითი კურსის მერყეობა და ლარის გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ვალდებულებების 100% დენომინირებულია ლარში, როგორც შესყიდვა ასევე გაყიდვა ხდება ეროვნულ ვალუტაში, ასეთი სახის რისკები კომპანიისთვის არ იკვეთება. რა თქმა უნდა, ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, იმპორტირებული პროდუქციის ფასი ლარში გაიზრდება და ამ შემთხვევაში შპს „რითეილ ჯგუფი" იძულებული იქნება ფასების ეს ზრდა ასახოს მის მიერ დადგენილ გასაყიდ ფასში. ანალოგიურ მდგომარეობაში მოხვდებიან სხვა კონკურენტებიც, რაც კონკურენტებს შორის თანაფარდობას უცვლელად დატოვებს და არავის მისცემს კონკურენტულ უპირატესობას.

4) Cash-Flow-ს რისკი - ასეთი სახის რისკი ძირითადად დგება იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანია მის ხელთ არსებულ საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილ მოკლევადიან ფულად სახსრებს მიმართავს გრძელვადიან აქტივებში, შესაბამისად, მოკლევადიანი ვალდებულებების გასასტუმრებელი თანხები კომპანიას აღარ რჩება. კომპანიის მენეჯმენტს აქვს კონტროლი ამ პროცესებზე და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს. როგორც საბალანსო უწყისიდან ჩანს 2018 წლის კაპიტალური დაბანდებები განხორციელებულია დამფუძნებელთა კაპიტალით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან მიმართებაში

სექტორი, სადაც შპს „რითეილ ჯგუფი" საქმიანობს ხასიათდება რამდენიმე სპეციფიკური რისკით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამათგან არის კონკურენციის რისკი. გამომდინარე იქიდან, რომ:

a) საცალო ვაჭრობის სექტორი არ ხასიათდება ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოსასვლელად შექმნილი მაღალი ბარიერებით. ამ სექტორში შემოსვლა ფაქტიურად შეუძლია ყველას, ვისაც აქვს საამისო ფინანსური რესურსი და მოიძებს შესაბამის კადრებს;
b) საცალო ვაჭრობის მომხმარებლები არ ხასიათდებიან განსაკუთრებული ლოიალურობით. ისინი ელასტიურები არიან სხვადასხვა ფაქტორების მიმართ და სხვა სექტორების მომხმარებლებთან შედარებით ადვილად გადაბირებადი არიან კონკურენტების მიერ;
c) 2018 წლის მონაცემებით კონკურენცია ბაზარზე არის ძალიან მძაფრი. კონკურენტები მაქსიმალურად ცდილობენ ბაზრის წილის მოპოვებას და მაქსიმალურად დიდი რაოდენობის საცალო ვაჭრობის ობიექტების გახსნას;

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკად, შესაძლებელია მივიჩნიოთ კონკურენტების გააქტიურება და შპს „რითეილ ჯგუფი"-ს მიერ ბაზრის წილის დაკარგვა. თუმცა კომპანია მუდმივად ცდილობს რომ შეისწავლოს და მყისიერად უპასუხოს მომხმარებელთა ახალ მოთხოვნილებებს, შესთავაზოს მას სიახლეები, დახვეწოს და ოპტიმალური გახადოს ასორტიმენტი, გაზარდოს მომსახურების ხარისხი. შედეგად საჭირო დროს კომპანია მზადყოფნაში შეხვდება კონკურენტების მხრიდან შესაძლო გააქტიურებას.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ამ თემაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს არის ის, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საცალო ვაჭრობის მხოლოდ 30-35% მოდის ორგანიზებულ საცალო ვაჭრობაზე. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბაზარზე არის თავისუფალი ადგილი, რომ დღეს არსებული სუპერმარკეტების ქსელები კიდევ განვითარდნენ და გაზარდონ გაზრის წილი არაორგანიზებული საცალო ვაჭრობის ხარჯზე.

როგორც ყველა სხვა სექტორისთვის, საცალო ვაჭრობისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. ეკ ონომიკურად და პოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში, ვერც ერთი ბიზნესი ვერ განვითარდება და ვერ იქნება ფინანსურად მდგრადი, მათ შორის ეს ეხება საცალო ვაჭრობის სექტორში მოქმედ კომპანიებს. აქედან გამომდინარე ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია რისკების ანალიზისას. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს ქვეყანაში და საჭიროების შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი ზომები შესაძლო გართულებების პრევენციისთვის.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კომპანია ძირითადად ვაჭრობს პირველადი მოხმარების საგნებით, რაზეც არასტაბილური გარემო სხვა სექტორებთან შედარებით ყველაზე გვიან და ყველაზე ნაკლებად იმოქმედებს უარყოფითად.

მატერიალური ფასეულობების დაზიანების, დაკარგვის, მოპარვისა და გაფუჭების რისკი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია ამ სექტორისთვის, ვინაიდან ობიექტები გაშლილია მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ართულებს მატერიალური ფასეულობების მოვლა-პატრონობის პროცესს და მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯებს.

ამ რისკის დასაზღვევად კომპანიას შექმნილი აქვს ძლიერი და მობილური მონიტორინგის სამსახური, რომელიც მაქსიმალურად ჩართულია მატერიალური ფასეულობების პერიოდული აღწერისა და კონტროლის პროცესში.

როგორც საანგარიშო წლის შედეგებიდან ჩანს, კომპანიას 2018 წელს ჰქონდა მაღალი ზრდის ტემპი და იგივე ტემპის შენარჩუნება ხდება 2019 წელსაც. ცნობილია, რომ სწრაფ ზრდას თან ახლავს რიგი პრობლემებისა. ისეთი როგორებიც არის მიმდინარე საოპერაციო საკითხების მიმართ მენეჯმენტის ყურადღების მოდუნება, ლოჯისტიკური პრობლემები, ხარჯების არაეფექტური განაწილება და ა.შ. აღნიშნული საკითხის მიმართ კომპანიის მენეჯმენტს მართებს სათანადო ყურადღების გამოჩენა.

თარიღი

/ხელმოწერილია/

ლაშა ჩოჩელი

დირექტორი

/ხელმოწერილია/

გიორგი ტაბახმელაშვილი

ფინანსური დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191199941
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ჩხიკვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი პუშკინის ქუჩა N10 II-სართული ოთახი N7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	999-523 92-22-49 92-22-75
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	96128900523019

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი — Notarial Act

საქართველო — Georgia


ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაათ სექტემბერს მე, ნოტარიუსი ქეთევან ჩხიკვაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პუშკინის №10, მეორე სართული, ოთახი №7 ვადასტურებ თარჯიმნის **ხატია გოგიაშვილის** (დაბ. 16.03.1978წ. მცხ.: ქ თბილისი, ზურაბ ქუქჩიშვილის ქ. №1, პირადობის მოწმობა №13IH06977, პირადი ნომერი №01014001313, გაც. 21.09.2014 იუსტიციის სამინისტროს მიერ, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი აა №0054427) ხელმოწერის ნამდვილობას **ოცდათორმეტ** გვერდზე. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ქართული და ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

On the thirtieth of September two thousand nineteen, I, notary Ketevan Chkhikvadze, at my notary bureau located in room №7, 2nd floor, №10, Pushkin street, Tbilisi, certify authenticity of the signature of translator KHATIA GOGIASHVILI (born on 16.03.1978, residing in №1, Zurab Kuckchishvili str., Tbilisi, ID №13IH06977, Personal number №01014001313, issued on 21.09.2014 by the Ministry of Justice, Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture, Diploma AA №0054427) onto **thirty-two** pages. I, the notary, have notified the translator that she is responsible for the accurate translation. She has confirmed her perfect knowledge of Georgian and English languages and will provide an accurate translation.

გადახდილია 66.00 ლარი, აქედან 64.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების (№507, 2011 წლის 29 დეკემბერი) 31.3 მუხლის საფუძველზე, 2.00 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი (საქართველოს მთავრობის დადგენილების (№507, 2011 წლის 29 დეკემბერი) 39-ე მუხლის თანახმად. Fee is paid 66.00 GEL: including 64.00 GEL according to Article 31.3 of the Resolution of the Government of Georgia "On Approval of the Amounts of Fee for Notary Services and Fee Due to the Notary Chamber of Georgia, the Procedure of Payment Thereof and the Terms of Service" (№507, December 29, 2011) and 2.00 GEL for registration (according to Article 39 of the Resolution of the Government of Georgia (№507, December 29, 2011).

ნოტარიუსი: / Notary:

ქეთევან ჩხიკვაძე 9/30/2019 7:12 PM
Ketevan Chkhikvadze



შპს „რითეილ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს)
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის
ფინანსური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიში

ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ 1
ანგარიში მოგება-ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლის შესახებ 2
ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ 3
ანგარიში ფულადი ნაკადების შესახებ 4

ფინანსური ანგარიშის შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4 ინფორმაცია სააღრიცხვო შეფასების გაურკვევლობისა და გადაწყვეტილებების ძირითადი წყაროების შესახებ 11
5 საკუთრება და აღჭურვილობა 12
7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები 13
8 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 13
9 ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები 14
10 საწესდებო კაპიტალი 14
11 სესხები 14
12 სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება 14
13 შემოსავლების ანალიზი კატეგორიის მიხედვით 15
14 დისტრიბუციის ხარჯები 15
15 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 15
16 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები 16
17 გაუთვალისწინებელი ხარჯები და აღებული ვალდებულებები 16
18 ბიზნეს-შერწყმა 17
19 დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები 18
19 დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები (გაგრძელება) 19
20 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 19

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

კომპანია შპს „რითეილ ჯგუფის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს

ჩვენი კვალიფიციური მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი ანგარიშის კვალიფიციური მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო შედეგების/გავლენის გარდა, ფინანსური ანგარიში (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ფინანსური ანგარიში“) სამართლიანად და ყველა არსებითი თვალსაზრისით, ადასტურებს კომპანია შპს „რითეილ ჯგუფის“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) ფინანსურ პოზიციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ შესრულებას და ფულად ნაკადებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

ფინანსური ანგარიში მოიცავს შემდეგს:

- ანგარიშს ფინანსური პოზიციის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა კუმულაციური შემოსავლების შესახებ ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშს სააქციო კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშს ნადღი ფულის ნაკადების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; და
- ფინანსური ანგარიშის შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას.

საფუძველი კვალიფიციური მოსაზრებისთვის

ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2019 წლის 3 აპრილის მდგომარეობით და ამგვარად, არ შევისწავლეთ ფიზიკური სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული საშუალებების გამოყენება 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მიერ კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური მარაგებისთვის და ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა გარკვეული ცვლილებების განხორციელება მოგება-ზარალის და სხვა კუმულაციული შემოსავლის ანგარიშში და აგრეთვე წმინდა ფულადი ნაკადების ანგარიშში მითითებულ წელს მოგების თვალსაზრისით ან საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ სტანდარტების ფარგლებში შემდგომ არის აღწერილი *აუდიტისთვის ფინანსური ანგარიშის აუდიტორის პასუხისმგებლობის* განყოფილებაში.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის დროს მოპოვებული მტკიცებულება საკმარისია და სათანადო ჩვენი კვალიფიციური მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შესაბამისად პროფესიონალი ბუღალტრებისთვის დადგენილი ეთიკის კოდექსის თანახმად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შესაბამისად პროფესიონალი ბუღალტრებისთვის დადგენილი ეთიკის კოდექსის თანახმად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშს და ჩვენი აუდიტორის ანგარიშს).

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშის შესახებ არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშის ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ მენეჯმენტის ანგარიში და ამგვარად, განვიხილოთ, არის თუ არა მენეჯმენტის

ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშებთან ან ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან აუდიტის მსვლელობისას ან სხვაგვარადაა არსებითად არასათანადოდ/შეცდომით განსაზღვრული.
ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობით აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოგვეთხოვება გამოვხატოთ მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და გავითვალისწინოთ, მოიცავს თუ არა მენეჯმენტის ნგარიში აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქრთველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას.
იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშში არსებითად მცდარი განცხადებაა წარმოდგენილი, ჩვენ მოგვეთხოვება ასეთი ფაქტის შესახებ ანგარიშში მითითება. როგორც ეს აღწერილია კვალიფიციური მოსაზრების საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ დავადგინეთ სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბოლოო ოდენობა წლის ბოლოს და ვერ განვახორციელეთ ალტერნატიული პროცედურები და შესაბამისად, არ შეგვეძლო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობის შესახებ. ჩვენ ვერ დავასკვნით არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარი ამ საკითხთან მიმართებაში.
ჩვენი აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა მატერიალური თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ:

- მენეჯმენტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიში, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშს; და
- მენეჯმენტის ანგარიში მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და აკმაყოფილებს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მენეჯმენტის და კორპორატიულ მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშთან მიმართებაში

მენეჯმენტი პასუხს აგებს ფინანსური ანგარიშის სამართლიანი პრეზენტაციის მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, აგრეთვე იმ შიდა კონტროლზე, რომელსაც მენეჯმენტი მიიჩნევს საჭიროდ ფინანსური ანგარიშის მოსამზადებლად მატერიალური/არსებითი შეცდომის/მცდარი განცხადების გარეშე, რომელიც თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული.
ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხს აგებს კომპანიის შესაძლებლობის შეფასებაზე განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, გაამჟღავნოს, საჭიროებისამებრ, მიმდინარე საკითხები და გამოიყენოს სააღრიცხვო საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მენეჯმენტი მოისურვებს კომპანიის ლიკვიდაციას ან მისი ოპერაციების შეწყვეტას, ან არ ექნება არავითარი რეალისტური ალტერნატივა ამის განსახორციელებლად.
კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტისთვის

ჩვენი მიზნებია გონივრული დასაბუთება იმისა, მოიცავს თუ არა ეს ანგარიში მატერიალურ შეცდომას, თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და გასცეს აუდიტორის ანგარიში, რომელიც ამ მოსაზრებას მოიცავს. გონივრული უზრუმველყოფა არ არის საკმარისი გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერტაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მატერიალურად მცდარ განცხადებას. მცდარი განცხადებები გამომდიანრეობა თაღლითობისა თუ შეცდომისგან და მიჩნეულია არსებითად იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად ან ერთობლივად, მისი გავლენა გონივრულადაა მოსალოდნელი მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე ამ ფინანსურ ანგარიშთან მიმართებაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის ფარგლებში, ჩვენ წარმოვადგინეთ პროფესიული მოსაზრება და გამოვხატეთ პროფესიული სკეპტიციზმი მთლიანად აუდიტის განმავლობაში. ჩვენ აგრეთვე განვახორციელეთ შემდეგი:

- მოვახდინეთ ფინანსური ანგარიშების არსებითად მცდარი განცხადების რისკების შეფასება, თაღლითობის ან შეცდომის გამო, აუდიტის პროცედურების დასახვისა და შესრულებისთვის ამ რისკებთან მიმართებაში და მოვიპოვეთ აუდიტის მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნება და სათანადო ჩვენი მოსაზრების საფუძვლისთვის. რისკი იმისა, რომ არ მოხდება არსებითად მცდარი განცხადების გამოვლენა, რომელიც თაღლითობის შედეგად გამომდინარეობს, გაცილებით მაღალია შეცდომით გამოწვეულ მცდარ ანგარიშებთან შედარებით, რამდენადაც თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, მიზანმიმართულ/განზრახ უმოქმედობას, მცდარ განცხადებებს ან საერთაშორისო კონტროლისთვის თავის არიდებას.
- შიდა კონტროლის გაგებას აუდიტთან მიმართებაში აუდიტის პროცედურების განსახორციელებლად, რაც მიზანშეწონილად მიიჩნევა მოცემულ გარემოებებში, მაგრამ არა მოსაზრების გამოხატვის მიზნით კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- აღრიცხვის პოლიტიკის მიზანშეწონილობისსათანადო შეფასება, რაც გამოიყენება და გონივრულადაა მიჩნეული სააღრიცხვო გაანგარიშებისას და მენეჯმენტის მიერ მოცემულ საკითხთან დაკავშირებული გაცხადებისას.
- მენეჯმენტის მიერ აღრიცხვის მიზანშეწონილობის დასადგენად და აუდიტის მსვლელობისას მიღებული მტკიცებულების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა ი. მოვლენებთან თუ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც არსებით ეჭვს იწვევს კომპანიის უნარის თაობაზე განაგრძოს მიმდინარე საქმიანობა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, აუცილებლად უნდა მივაქვიოთ ყურადღება ჩვენს ანგარიშში დაკავშირებულ გაცხადებებს ფინანსურ ანგარიშებში ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაცხადება არაადეკვატურია, უნდა შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის დღეის მდგომარეობით აუდიტის ფარგლებში მოპოვებულ მტკიცებულებას. ამასთან, სამომავლო მოვლენები ან პირობები შესაძლოა იწვევდეს კომპანიის მიერ მიმდინარე საქმიანობის წარმოებას.
- შევაფასეთ ფინანსური ანგარიშის საერთო წარმოდგენა, სტრუქტურა და შინაარსი, გაცხადებების ჩათვლით და თუ რამდენადაა ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილი თანხმლები ტრანზაქციები და მოვლენები ისე, რომ მიღწეულ იქნეს სამართლიანი წარმოდგენა.

ჩვენ კომუნიკაციას ვაწარმოებთ საწარმოს მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან, მათ შორის, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბთან, ვადებთან და არსებით აღმოჩენებთან, ნებისმიერი არსებითი დანაკლისის ჩათვლით შიდა კონტროლის თვალსაზრისით, რომლის იდენტიფიცირებასაც მოვახდენთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

კომპანია შპს „პრაისუოთერჰაუსკუპერს ჯორჯიას“ მხრიდან

ლაშა ჯანელიძე (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-562091)

2019 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს „რითეულ ჯგუფი“
ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ათასობით ქართულ ლარში	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები/გრძელვადიანი აქტივები			
საკუთრება და აღჭურვილობა	5	14,343	84
ქონებისა და აღჭურვილობის წინასწარი გადახდები		-	152
გუდვილი	6	508	-
სხვა არამატერიალური აქტივები		389	-
სულ ძირითადი საშუალებები/გრძელვადიანი აქტივები		**15,240**	**236**
მიმდინარე საბრუნავი აქტივები			
დებიტორული დავალიანება აქციონერებისგან		2	1.559
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	12,923	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	6,031	1,339
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	9	2,879	768
სულ მიმდინარე საბრუნავი აქტივები		**21,835**	**3,666**
სულ აქტივები		**37,075**	**3,902**
სააქციო კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	15,543	4,090
დაგროვებული დეფიციტი		(3,574)	(220)
სულ სააქციო კაპიტალი		**11,969**	**3,870**
ვალდებულებები			
მიმდინარე/მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	5,014	-
სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება	12	20,092	32
სულ მიმდინარე/მოკლევადიანი ვალდებულებები		**25,106**	**32**
სულ ვალდებულებები		**25,106**	**32**
სულ ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი		**37,075**	**3,902**

დამტკიცებულია და ხელმოწერილია მმართველი საბჭოს მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

/ხელმოწერილია/
ლაშა ჩოჩელი
დირექტორი

/ხელმოწერილია/
გიორგი ტაბახმელაშვილი
ფინანსური დირექტორი

თანმხლები შენიშვნები გვერდებზე ___ - ___ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

ათასობით ქართულ ლარში	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	13	69,372	-
რეალიზაციის თვითღირებულება		(58,665)	-
საერთო მოგება		**10,707**	-
სხვა შემოსავალი		351	9
დისტრიბუციის ხარჯები	14	(10,948)	(21)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(3,093)	(9)
სხვა მიგება/(ზარალი), წმინდა			
საოპერაციო ზარალი		**(2,983)**	**(21)**
ფინანსური მოგება	16	32	-
ფინანსური ხარჯები	16	(403)	(199)
ზარალი საშემოსავლო გადასახადამდე		**(3,354)**	**(220)**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		**(3,354)**	**(220)**
წლის განმავლობაში სხვა შემოსავალი		-	-
სულ ერთობლივი ზარალი წლის განმავლობაში		**(3,354)**	**(220)**

ათასობით ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული დეფიციტი	სულ
ნაშთი 2017 წლის 7 ნოემბერი (დაწყების თარიღი)	**-**	**-**	**-**
ზარალი წლის განმავლობაში	-	(220)	(220)
სულ ერთობლივი ზარალი წლის განმავლობაში	-	(220)	(220)
სააქციო კაპიტალის ზრდა	4,090	-	4,090
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,090**	**(220)**	**3,870**
ზარალი წლის განმავლობაში	-	(3,354)	(3,354)
სულ ერთობლივი ზარალი წლის განმავლობაში	-	(3,354)	(3,354)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,453	-	11,453
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**15,543**	**(3,374)**	**11,969**

ათასობით ქართულ ლარში	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		(3,354)	(220)
ზარალი საშემოსავლო გადასახადამდე			
დარეგულირება შემდეგი პუნქტებისთვის:			
საკუთრების, არამატერიალური აქტივებისა და აღჭურვილობის ამორტიზაცია და ცვეთა	5	1,282	-
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა, და ინვენტარში განსხვავებები		487	-
-ფინანსური შემოსავალი	16	(32)	-
ფინანსური ხარჯები	16	30	-
უცხოური ვალუტის გაცვლის ცვლილებები		358	199
ფულადი ნაკადების დამუშავება სამუშაო კაპიტალში ცვლილებების განხორციელებამდე		**(1,229)**	**(21)**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდა		(4,692)	(1,339)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა		(13,410)	-
სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანების ზრდა		19,951	32
ოპერაციებიდან მიღებული (გამოყენებული) ნაღდი ფული		**620**	**(1,328)**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი			
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი ნაკადები [გამოყენებული] საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში		**636**	**(1,328)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საკუთრების და აღჭურვილობის შესყიდვა		(15,674)	(236)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(504)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(16,178)**	**(236)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხებისგან მიღებული მოგება		5,000	-
აქციონერებისგან მიღებული კაპიტალდაბანდებები	10	12,637	2,332
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული		**17,637**	**2,332**
გაცვლითი კოეფიციენტების ცვლილებების გავლენა ნაღდ ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		16	-
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**768**	**-**
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	**2,879**	**768**

თანმხლები შენიშვნები გვერდებზე ___ - ___ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

1 ზოგადი ინფორმაცია

ეს ფინანსური ანგარიში მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის და საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „რითეილ ჯგუფისთვის“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“).

2017 წლის 7 ნოემბერს კომპანია დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (“შპს”) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 436041659. კომპანია დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წელს, კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირად იქნა წარმოდგენილი:

	31.12.2018	31.12.2017
შპს „რითეილ ჯგუფი“	60.00%	-
Dolnay Consaltants Limited	26.67%	42.86%
ი/მ ზურაბი ხიზანიშვილი	13.33%	21.43%
ი/მ ლაშა ჩოჩელი	-	35.71%

კომპანიას არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მთავარი საქმიანობა. კომპანიის მთავარი ბიზნეს-საქმიანობა არის ბენდ-სახელით მაგნიტი საცალო მაღაზიების ოპერირება მთელს საქართველოში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 117 მაღაზია. კომპანიის მიერ შეთავაზებული მთავარი ასორტიმენტი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება საკვები პროდუქტებით (მალფუჭებადი, არაფუჭებადი), ჰიგიენის ნივთები და სხვა.

იურიდიული მისამართი (რეგისტრაციის მიხედვით) და ბიზნესის განხორციელების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია (რეგისტრაციის მიხედვით: მცხეთა, სოფელი წეროვანი. ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი, სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ე. ანდრონიკაშვილის ქ. N143.

წარმომადგენლობითი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიში წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („GEL“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარადაა გაწერილი.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებს. განვითარებადი ეკონომიკა, როგორიცაა საქართველოს ეკონომიკა, სწრაფად იცვლება და მოწყვლადია გლობალურ საბაზრო პირობებში და ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით. შედეგად, ოპერაციები საქართველოში შესაძლოა გარკვეულ რისკს დაექვემდებაროს, რომლებიც არაა ტიპიურად დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე წარმოდგენილ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა გაატარა, რამაც დადებითად იმოქმედა მთლიანად საინვესტიციო კლიმატზე ქვეყანაში. დღესდღეობით საქართველოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია აქვს. საქართველო პროგრესი დაფიქსირდა მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ანგარიშში - „ბიზნესის კეთება 2019“, გამოცხადდა რა რიგით მე-6 ქვეყნად მსოფლიოში (190 ქვეყანას შორის) ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით, დაწინაურდა რა 3 საფეხურით წინა წლის შეფასებასთან შედარებით. ქვეყანამ გააუმჯობესა საკუთარი რანჟირება თითქმის ყველა კატეგორიის მიხედვით, საკუთარი პოზიციის დადასტურებით რეგიონული ლიდერის რანგში და აჯობა რა ევროკავშირის ეკონომიკის უდიდეს ნაწილს. საქართველო ასევე ტრაბახობს კორუფციის დაბალი

დონით, დაბალი საგადასახადო განაკვეთით და საკუთარი ინსტიტუციების მაღალი გამჭვირვალობით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევების რაოდენობის შესაბამისად.

საერთო შიდა პროდუქტის ზრდა განისაზღვრა 4.8% წლიდან-წლამდე ზრდით 2018 წელს და 4.8% წლიდან-წლამდე ზრდით 2017 წელს, საქსტატის საწყისი შეფასებით. ფართომასშტაბიანი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ზრდა ემყარებოდა მშენებლობას, ვაჭრობასა და შეკეთებას, უძრავ ქონებას, ტრანსპორტსა და კომუნიკაციას.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებისას გამოიყენებოდა, ქვემოთაა მოცემული. ეს პოლიტიკა მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილი წლისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარადაა გაწერილი.

მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიში მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად

ფინანსური ანგარიშის მომზადება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო გაანგარიშების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს მენეჯმენტისგან საკუთარი გადაწყვეტილების შესრულებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. უფრო მაღალი ხარისხის ან სირთულის გადაწყვეტილების სფეროებში ან იმ სფეროებში, სადაც დაშვება და შეფასება/გაანგარიშება არსებითია/მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშისთვის, გაცხადებულია მეოთხე შენიშვნაში.

წარმოდგენილი ვალუტა. ამ ფინანსურ ანგარიშში მოცემული ყველა თანხა წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („GEL“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარადაა გაწერილი.

უცხოური ვალუტის დაკონვერტირება. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა პირველადი ეკონომიკური ვალუტის გარემოა, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტაა - ქართული ლარი („GEL“).

უცხოურ ვალუტაში დასახელებული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გაწერილია ისტორიული ღირებულებით, დაკონვერტირდება, კონვერტაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დასახელებული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გაწერილია სამართლიანი ღირებულებით და გადაიყვანება ლარში, კონვერტაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას.

უცხოურ ვალუტაში დასახელებული მონატერული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების პერიოდის დროს გადაიყვანება ქართულ ლარში, შესაბამის დღეს დაფიქსირებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს უპირატესი გაცვლითი კურსით. ასეთი ტრანზაქციების განხორციელების/ანგარიშსწორების შედეგად მიღებული მოგება და დამდგარი ზარალი და აგრეთვე უცხოურ ვალუტაში დასახელებული ფულადი საშუალებებისა და ვალდებულებების დაკონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და დამდგარი ზარალი კუმულაციური შემოსავლების ანგარიშში, სხვა საოპერაციო ხარჯების ფარგლებშია; სესხებიდან მიღებული უცხოური ვალუტა წარმოდგენილია კუმულაციური შემოსავლის ანგარიშში, „ფინანსური შემოსავლისა თუ ხარჯების ფარგლებში“.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, განისაზღვრა აშშ დოლარში („USD“) 1 = GEL 2.6766 და ევროში („EUR“) 1 = GEL 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: USD 1 = GEL 2.5922 და EUR 1 = GEL 3.1044). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები. ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ხელზე გაცემულ ნაღდ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს საწყისი გადახდის ვადით სამი თვით ან ნაკლები ვადით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად ტრანზაქციის ფასად. ისინი თავდაპირველადაა შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ცხადდება, როდესაც ობიექტური მტკიცებულების მიხედვით, კომპანიას არ შეუძლია ამოიღოს ყველა თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი ვადის მიხედვით.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულება ჩათვლილია და წმინდა თანხა მითითებულია ფინანსური პოზიციის შესახებ ანგარიშში მხოლოდ კანონიერად განხორციელებადი უფლებით აღიარებული თანხების ჩასათვლელად და არ არსებობს განზრახვა წმინდა თანხის საფუძველზე ანგარიშსწორებისთვის ან აქტივის რეალიზაციისთვის და იმავდროულად ვალდებულების მოსაგვარებლად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. წინასწარი გადახდა დაკლასიფიცირებულია, როგორც არამიმდინარე, როდესაც საქონელი ან მომსახურება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებით მოსალოდნელია მიღებულ იქნეს ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავისთავად დაკლასიფიცირებულია, როგორც არამიმდინარე საწყისი აღიარებისას. წინასწარი გადახდები აქტივების მისაღებად და საბალანსო ღირებულებით გადასატანად, მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი აქტივთან დაკავშირებით დაუბრუნდება კომპანიას. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალიდან, როდესაც მიღებულია წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ არსებობს მითითება იმაზე, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია შესაბამისად და გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მითითებულია თვითღირებულებაზე დაბალ ფასად და გაანგარიშებულია, როგორც ნასყიდობის ფასს გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. თვითღირებულება განისაზღვრება მატერიალური მარაგების მიღებისთანავე განკარგვის მეთოდით. თითოეული ანგარიშგების დღეს, ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება გაუფასურების კუთხით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება შემცირდება ნასყიდობის ფასით გამოკლებული ნასყიდობის ხარჯები. გაუფასურების ხარჯის აღიარება მოგება-ზარალში ხდება დაუყოვნებლივ.

საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა. საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა განისაზღვრება ისტორიული ღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯები. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეწერება აქტივის ადგილმდებარეობაზე მიყვანას შესაბამის მდგომარეობაში, მენეჯმენტის მიერ გამიზნული ოპერირებისთვის შესაბამისი უნარით.

კომპანია საკუთრების, საწარმოსა და აღჭურვილობის გარკვეული ობიექტის საბალანსო ღირებულებას ამატებს ამ ობიექტის ჩამნაცვლებელი ობიექტების ღირებულებას, როდესაც ხარჯი დადგება კომპანიისთვის მოსალოდნელი მზარდი სარგებლის მიღების მოლოდინით. ჩამნაცვლებელი

ობიექტის საბალანსო ღირებულება არ იქნება აღიარებული. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება უნდა იქნეს დაბეგრილი მოგება-ზარალთან მიმართებაში, მათი დადგომის დროს.

მიწის გაუფასურება არ ხდება. სხვა აქტივების გაუფასურება დაიბეგრება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს აქტივების თვითღირებულების გადანაწილება, გამოკლებული მათი ექსპლუატაციის ვადის ნარჩენი ღირებულება, სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული ექსპლუატაციის ვადა შემდეგნაირადაა გაწერილი:

- შენობები 10-25 წელი
- საოფისე აღჭურვილობა 3-5 წელი
- ავტომობილები 5-10 წელი
- სავაჭრო აღჭურვილობა 5-10 წელი
- საიჯარო ქონების გაუმჯობესება 3-10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, ექსპლუატაციის ვადა და გაუფასურების მეთოდები განიხილება და დარეგულირდება შესაბამისად, არსებით ცვლილებაზე მითითებით, ბოლო ანგარიშგების დღის შემდგომ.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება დაუყოვნებლივ ამოსაღები თანხით, იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება გაანგარიშებულ ამოსაღებ თანხას.

მოგება და ზარალი გამოყენებისას განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია „სხვა - წმინდა მოგებაში/(ზარალში)“, ერთობლივი შემოსავლის ანგარიშში

გუდვილი. გუდვილი წარმოადგენს ბიზნეს-შერწყმის ჭარბ ხარჯებს წმინდა იდენტიფიცირებული აქტივების სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში, შეძენის/მოპოვების დროს. გუდვილი ხორციელდება თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯები. გუდვილის ამორტიზაცია გაანგარიშდება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით ექსპლუატაციის ვადასთან მიმართებაში. გუდვილის მოქმედების ვადის განისაზღვრება ხუთი წლით, რაც ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო გაანგარიშებას. თითოეული ანგარიშგების დროს, ჯგუფი აფასებს ნებისმიერ მითითებას, რომ გუდვილი შესაძლოა გაუარესდეს. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნებისმიერი ასეთი მითითება, იურიდიული პირი აფასებს აქტივის ამოსაღებ თანხად. დაუშვებელია გუდვილზე დარიცხული გაუფასურების ზარალის გაუფასურება. იურიდიული პირის მიერ განკარგვისას მოგება და ზარალი მოიცავს გუდვილიის საბალანსო ღირებულებას გაყიდულ იურიდიულ პირთან მიმართებაში.

გუდვილი გადანაწილდება ნაღდი ფულის მწარმოებელ ერთეულებს (ან ერთეულთა ჯგუფებს) შორის გაუფასურების შემოწმების მიზნით. გადანაწილება ხდება ნაღდი ფულის მწარმოებელ იმ ერთეულებს ან ერთეულთა ჯგუფებს შორის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ ბიზნეს-შერწყმის სინერგიიდან, მიუხედავად სხვა აქტივების თუ ვალდებულებებისა, რომლებიც ამ ერთეულებს მიეწერება.

სხვა არამატერიალური აქტივები. ცალკე მოპოვებული ლიცენზიები (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით) ნაჩვენებია ისტორიული ღირებულებით. ბიზნეს-შერწყმისას მიღებული ლიცენზიები აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მოპოვების დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლიანი ღირებულების შეფასება შეუძლებელია არასათანადო ღირებულებისა თუ მცდელობის გარეშე. ლიცენზიებს აქვთ განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და მათი მიღება ხდება თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ხარჯები. ამორტიზაცია გაანგარიშდება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, ლიცენზიების ხარჯების გადანაწილებით მათი შეფასებული ექსპლუატაციის ვადის შესაბამისად.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოპოვებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება დამდგარი ხარჯების საფუძველზე სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის მოპოვებისა და გამოყენებისთვის. ეს ხარჯები ამორტიზდება შეფასებული ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში 5-7 წლის ვადით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გარდა. აქტივები, რომლებიც გაუფასურებასა თუ ამორტიზაციას ექვემდებარება შეფასდება თითოეული ანგარიშგების დღეს, აქტივის გაუფასურებაზე მითითების არსებობის გამოსავლენად. როდესაც არსებობს მითითება აქტივის გაუფასურებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ნაღდი ფულის მწარმოებელი ერთეული, რომლის მიმართაც ხდება აქტივის გადანაწილება) შემოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია აქტივის საბალანსო თანხით, რომელიც აქტივის მიმდინარე ღირებულებას აღემატება ამოსაღები ოდენობით. ამოსაღები ოდენობა აღემატება აქტივის ნაღდი ფულის მწარმოებელი ერთეულის სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და გამოყენებისას დადგენილი ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფდება უმდაბლეს დონეზე, რომლისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ნაღდი ფულის ნაკადები (ფულის მწარმოებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივები, გუდვილიის გარდა, რომელთაც განიცადეს გაუფასურება, განიხილება შესაძლო რევერსიით, თითოეული ანგარიშგების დღეს.

სესხები. სესხები აღიარებულია თავდაპირველად ტრანზაქციის ფასად (რაც ნიშნავს ბანკისთვის გადასახდელი ნაღდი ფულის მიმდინარე ღირებულებას, ტრანზაქციის ღირებულების ჩათვლით). სესხები შემდგომ განისაზღვრება ამორტიზებული ხარჯებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

სესხები დაკლასიფიცირებულია მიმდინარე ვალდებულებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპანიას აქვს უპირობო უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით, ანგარიშგების დღის შემდეგ.

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება. სავაჭრო საკრედიტო დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად ტრანზაქციის ფასად და შედეგად იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დებულებები. დებულებები სამართლებრივი მოთხოვნებისთვის აღიარებულია, როდესაც: კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული მოვალეობა, წარსულში მომხდარი შემთხვევების შედეგად; სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის გადაცემა მოთხოვნილ იქნება მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის; ხოლო თანხა შესაძლოა სანდოდ იქნეს გაანგარიშებული.

დებულებები შეფასდება არსებული ღირებულებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მოთხოვნილი იქნება მოვალეობის შესასრულებლად წინასაგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და მოვალეობისთვის დამახასიათებელ რისკებს. დროის გასვლასთან ერთად მიწოდების ზრდა აღიარებულია საპროცენტო ხარჯებში.

თანამშრომლის სარგებელი. ხელფასები, სარგოები, გადახდილი წლიური საშვებულებო და ბიულეტენები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი დაირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული მომსახურების გაწევა ხდება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა პენსიის ან მსგავსი სარგებლის გადახდის თვალსაზრისით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის თანხა. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი მოიცავს მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიან ღირებულებას საქონლის გაყიდვის შედეგად კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას. შემოსავალი ნაჩვენებია წმინდა ღირებულებით/დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ანარიცხებით, ფასდათმობებითა და დისკონტირებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობა შესაძლოა სანდოდ იქნეს შეფასებული; სავარაუდოა, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი დაუბრუნდება იურიდიულ პირს; და სპეციფიკური კრიტერიუმები შესრულდა კომპანიის თითოეული აქტივობისთვის, როგორც ეს ქვემოთ იქნა აღწერილი.

საქონლის გაყიდვები – საცალო. კომპანია ოპერირებს, როგორც საცალო მაღაზიების ქსელი მთელს საქართველოში. საქონლის გაყიდვები აღიარებულია, როდესაც კომპანია ყიდის პროდუქტს მომხმარებელზე, რამდენადაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე ტრანზაქციის განხორციელების დროს. საცალო გაყიდვები ჩვეულებრივ ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით ხდება.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომწოდებლებისგან მიღებული დისკონტირება. სავაჭრო დისკონტირება, რომელიც მოიცავს მომწოდებლებისგან ნასყიდობის ფასზე მინიჭებულ ფასდაკლებას უპირველეს ყოვლისა აღიარებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირებას და ნასყიდობისას, აისახება გაყიდვების ღირებულებაში.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულ იქნა ამ ფინანსურ ანგარიშებში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ან რომელიც არსებითად ამოქმედდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, როდესაც კომპანიებმა (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უნდა გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადები მათ მიერ გამომუშავებულ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოგების გადანაწილებამდე ან როდესაც მოგება ჩაითვლება გადანაწილებულად დივიდენდის ფორმით.

საშემოსავლო გადასახადი 15%-ის ოდენობით გადახდილი იქნება საერთო ოდენობით (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა მოიცავდეს 5% - შემოსავლის წყაროსთან დაკავებულ გადასახადს, ასეთის გამოყენების შემთხვევაში და გაყოფილი 0.85) დივიდენდის გადახდის დროს ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადასახდელი დივიდენდები მიღებული მოგებიდან 2017 წლის 1 იანვრიდან გათავისუფლებულია გადასახადებით დაბეგვრისგან.

დივიდენდები აკუმულირებულ მოგებაზე 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადით იბეგრება გაერთიანებულ ღირებულებასთან მიმართებაში, შემცირდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გაანგარიშდება, როგორც კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის გამოცხადებული და გადახდილი წილი დასაბეგრ მოგებაზე საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებაში იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გადასანაწილებელ დივიდენდზე. ამასთან, საგადასახადო საკრედიტო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ საშემოსავლო გადასახადს, რომელიც გამოიყენება დივიდენდის გადანაწილებასთან მიმართებაში.

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გამომდინარეობს დივიდენდების გადანაწილების შედეგად აღირიცხება, როგორც საშემოსავლო საგადასახადო ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც ხდება

დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის დღისა ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა დივიდენდის გადახდა.

დივიდენდების გადანაწილებასთან დაკავშირებით, გადასახადი ჯერ კიდევ გადასახდელია ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც დადგა არა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების თავისუფალი მიწოდება, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. იმ იურიდიული პირებისთვის ყველა წინასწარ გადახდილი თანხა, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან იურისდიქციაში უპირატესი საგადასახადო რეჟიმით და სხვა გარკვეული ტრანზაქციები ასეთი იურიდიულ პირებთან, ასევე ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ დაიბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებაზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტების გარეშე, უპირატესი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში დარეგისტრირებული ავანსად გადახდილი თანხების სანაცვლოდ ან ფიზიკური პირების ან არარეზიდენტებისთვის მინიჭებული სესხების ამოღება დაფიქსირდება გადასახადებში, გარდა შემოსავლებისა საოპერაციო გადასახადების ფარგლებში.

ლიზინგი. ლიზინგი, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და საკუთრება შენარჩუნებულია მოიჯარის მიერ და დაკლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო ლიზინგი. გადახდები ხორციელდება საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში (მოიჯარისგან მიღებული ყოველგვარი წახალისების გარეშე) გარდაიქმნება მოგება-ზარალში სწორხაზოვან საფუძველზე, ლიზინგის ვადის განმავლობაში.

დივიდენდების გადანაწილება. დივიდენდების გადანაწილება კომპანიის მფლობელთან მიმართებაში აღიარებულია, როგორც ვალდებულება კომპანიის ფინანსურ ანგარიშში, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც დივიდენდები დამტკიცებულია კომპანიის მფლობელების მიერ.

ფინანსურ ანგარიშში შეტანილი ცვლილებები გამოშვების შემდეგ. ამ ფინანსურ ანგარიშში ნებისმიერი ცვლილება გამოშვების შემდეგ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებას, რომელმაც მოახდინა ამ ფინანსური ანგარიშის ავტორიზაცია გამოსაშვებად.

4 ინფორმაცია სააღრიცხვო შეფასების გაურკვევლობისა და გადაწყვეტილებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია განახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასდება და დაემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, სამომავლო მოვლენების ჩათვლით, რომლებიც მიჩნეულია გონივრულად მიმდინარე გარემოებებში. მენეჯმენტი აგრეთვე მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, გარდა გაანგარიშებებისა, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. გადაწყვეტილებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშში აღიარებულ თანხებზე, რომელთაც შეუძლიათ არსებითი დარეგულირება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში და მოიცავს შემდეგს:

საკუთრების, საწარმოს, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის ვადა. საკუთრების, საწარმოს და აღჭურვილობის ნებისმიერი ნაწილის ექსპლუატაციის ვადის შეფასება დაემყარება მსგავსი აქტივების გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ დაძველებას/ცვეთას, ფიზიკურ ამორტიზაციას/ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის ექსპლუატაცია. ცვლილებები ამ პირობებში თუ გაანგარიშებაში შესაძლოა იწვევდეს სამომავლო გაუფასურების განაკვეთების დარეგულირებას. თუ აქტუალური სასიცოცხლო ვადა არის 10%-ით განსხვავებული მენეჯმენტის შეფასებისგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთა არის 114 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: ნოლი)

5 საკუთრება და აღჭურვილობა

საკუთრების, საწარმოსა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულებაში მოძრაობა შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

ათასობით ქართულ ლარში	მიწა და შენობები	სავაჭრო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტომობილები	ლიზინგის გაუმჯობესებანი	სულ
ღირებულება 2017 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული გაუფასურება	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
დამატებები	-	57	22	-	5	84
გაუფასურების ხარჯები	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**57**	**22**	**-**	**5**	**84**
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**57**	**22**	**-**	**5**	**84**
აკუმულირებული გაუფასურება	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**47**	**22**	**-**	**5**	**-84**
დამატებები	47	4,719	3,824	653	4,341	13,584
შესყიდვები ბიზნეს-შერწყმის საშუალებით	453	660	697	-	-	1,810
გაუფასურების გადასახადი	(37)	(395)	(467)	(23)	(213)	(1,135)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**463**	**5,041**	**4,076**	**630**	**4,133**	**14,343**
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	5.436	4.543	653	4.346	15.478
აკუმულირებული გაუფასურება	(37)	(395)	(467)	(23)	(213)	(1,135)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**463**	**5,041**	**4,076**	**630**	**4,133**	**14,343**

2018 წლის 31 დეკემბერს შენობები და აღჭურვილობა 13,713 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით (2017 წელი: ნული) დაიტვირთა გირაოთი მესამე მხარეების სასარგებლოდ, როგორც უზრუნველყოფა სესხზე. იხ. შენიშვნა 17.

6 გუდვილი

ათასობით ქართულ ლარში	გუდვილი
ხარჯი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-
აკუმულირებული ამორტიზაცია	-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**
ბიზნეს-კომბინაციების მეშვეობით შენაძენი	635
ამორტიზაციის ხარჯი	(127)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**508**
ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	635
აკუმულირებული ამორტიზაცია	(127)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**508**

7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელი	12,333	-
შეფუთვის მასალები	535	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	55	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**12,923**	**-**

12,923 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2017 წელი: ნული) დაგირავებულ იქნა უზრუნველყოფის სახით სესხებისთვის. იხ. შენიშვნა 17. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება აღიარებულ იქნა ხარჯად 58,655 ათასი ლარის ოდენობის გაყიდვების ღირებულების წარმოდგენის პერიოდში (2017 წელი: ნული).

8 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	49	-
მომწოდებლებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება	2,825	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ფარგლებში	***2,874***	**-**
	1860	16
წინასწარ გადახდილი და ამოსაღები გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	1,170	1,323
წინასწარი გადახდები	127	-
სხვა დებიტორული დავალიანება		
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**6,031**	**1,339**

თანმხლები შენიშვნები გვერდებზე ___ - ___ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

მომწოდებლებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება მოიცავს საქონლის შესყიდვისათვის მომწოდებლების მიერ ფასდაკლებების წინასწარგანსაზღვრულ პროცენტს.

9 ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
მოთხოვნისთანავე გადასახდელი საბანკო ნაშთები	2,455	768
ნაღდი ფული ხელზე	326	-
გაგზავნილი ნაღდი ფული	98	-
სულ ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	**2,879**	**768**

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მფლობელების დადგენილების და საბჭოს 2017 წლის 20 ნოემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით, აქედან 2,332 ათასი ლარი (899 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი) ნაღდი ფულით იქნა შეტანილი 2017 წლის განმავლობაში. მფლობელის 2018 წლის 18 იანვრით დათარიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემდგომ გაიზარდა 4,500 ათასი აშშ დოლარით. სულ მფლობელების მიერ განხორციელებული ნაღდი ფულით შენატანები 2018 წლის განმავლობაში განისაზღვრა 12,637 ათასი აშშ დოლარით.

11 სესხები

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
ვადიანი სესხები	5,014	-
სულ სესხები	**5,014**	**-**

კომპანიის სესხები დასახელებულია ქართულ ლარში. საბანკო სესხების გადახდის ვადა განისაზღვრა 2019 წლის ნოემბრამდე, 10% წლიური საპროცენტო განაკვეთით (2017 წელი: ნული). საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მიწით, შენობებით და სასაქონლო-მატერიალური მარაგებით (შენიშნები 5, 7).

12 სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო საკრედიტო დავალიანება	18,623	-
ვალდებულებები შეძენილი საკუთრების და აღჭურვილობისთვის	108	-
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	968	29
სულ ფინანსური საკრედიტო ვალდებულება სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანების ფარგლებში	***19,699***	***29***
თანამშრომლების დარიცხული ანაზღაურების ხარჯები	393	3
სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება	**20,092**	**32**

13 შემოსავლების ანალიზი კატეგორიის მიხედვით

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
არასაკვები პროდუქტები	23,597	-
საკვები პროდუქტები: მალფუჭებადი	23,269	-
საკვები პროდუქტები: არამალფუჭებადი	21,718	-
სხვა	788	-
სულ შემოსავალი	**69,372**	**-**

14 დისტრიბუციის ხარჯები

ათასობით ქართულ ლარში	31.12.2018	31.12.2017
სახელფასო უწყისი და დაკავშირებული ხარჯები	3,810	-
საოპერაციო ლიზინგის ხარჯები საკუთრების, საწარმოსა და აღჭურვილობისთვის	2,424	-
კომუნალური მომსახურების ხარჯები	1,491	-
გაუფასურებისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,216	1
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	493	-
მიწოდების ხარჯები	391	-
საწვავის ხარჯები	311	-
რეკლამისა და პოპულარიზაციის ხარჯები	250	14
საბანკო მოსაკრებლები	150	-
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	93	-
უსაფრთხოების მომსახურება	70	-
სხვა სადისტრიბუციო ხარჯები	249	6
სულ სადისტრიბუციო ხარჯები	**10,948**	**21**

15 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასობით ქართულ ლარში	2018	2017
სახელფასო უწყისისა და დაკავშირებული გადასახადები	2,147	5
პროფესიული მომსახურების ღირებულება	185	-
ტელეკომუნიკაციის ხარჯები	165	-
საოპერაციო ლიზინგის ხარჯები საკუთრებისა და აღჭურვილობისთვის	160	-
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	75	-
საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადები	74	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	66	-
მივლინებების ხარჯები	46	-
საოფისე აღჭურვილობის/მარაგების ხარჯები	37	-
კომუნალური მომსახურების ხარჯები	30	-
საბანკო მოსაკრებლები	27	1
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	81	3
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**3,093**	**9**

16 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ათასობით ქართულ ლარში	2018	2017
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯები	32	-
ფინანსური ხარჯები	*32*	-
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო შემოსავალი	(30)	-
უცხოური ვალუტით ოპერაციებიდან მიღებული სუფთა მოგება ფინანსურ აქტივობებზე	(373)	(199)
ფინანსური ხარჯები	*(403)*	*(199)*
წმინდა ფინანსური ხარჯები	**(371)**	**(199)**

17 გაუთვალისწინებელი ხარჯები და აღებული ვალდებულებები

სამართლებრივი საქმეთწარმოება. დროდადრო, ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას, შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები კომპანიის წინააღმდეგ. საკუთარი შეფასების საფუძველზე და შიდა და გარეშე პროფესიული რჩევის გათვალისწინებით, მენეჯმენტის მოსაზრებით არ არსებობს მატერიალური ხარჯები, რომლებიც დადგება სარჩელებთან მიმართებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ განაცხადებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირად არ არის ნათელი, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები იმ გარკვეული სახელისუფლებო ორგანოების მიერ განხილვისა და გამოძიების საგანია, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დააკისრონ ჯარიმები, საურავები და საპროცენტო ხარჯები.

საგადასახადო წელი ღია რჩება განსახილველად საგადასახადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, ამასთან, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შესაძლოა კიდევ უფრო დიდ ხანს გაგრძელდეს. ეს გარემოებები შესაძლოა ქმნიდნენ საგადასახადო რისკებს საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები. კომპანია ლიზინგის საფუძველზე ქირაობს სხვადასხვა საცალო მაღაზიებსა და საწყობებს არაგაუქმებადი საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულებების თანახმად. ლიზინგის ვადები 5-10 წლამდე მერყეობს. ლიზინგის ხელშეკრულებების უდიდესი ნაწილი განახლებადია ლიზინგის პერიოდის ბოლოს საბაზრო განაკვეთით.

სამომავლო მინიმალური ლიზინგის გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში შემდეგნარიად განისაზღვრება:

ათასობით ქართულ ლარში	**2018**	**2017**
არაუგვიანეს 1 წლის ვადაში	5,043	-
1 წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლის ვადაში	19,655	-
არაუგვიანეს 5 წლის ვადაში	14,824	-

სულ საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**39,522**	**-**

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს შემდეგი აქტივები, რომლებიც დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით:

ათასობით ქართულ ლარში	**შენიშნები**	**2018**	**2017**
საკუთრება და აღჭურვილობა	5	13,713	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	12,923	-
სულ დაგირავებული და შეზღუდული აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით		**26,636**	**-**

გარემოს დაცვითი/ეკოლოგიური საკითხები. გარემოს დაცვითი/ეკოლოგიური რეგულაციის ძალაში შესვლა საქართველოში ვითარდება და სახელისუფლებო უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამოქმედება მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოს დაცვითი/ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისას, მოხდება მათი დაუყოვნებლივ აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა აღმოცენდეს არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო დავასა თუ კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად, ვერ იქნება შეფასებული, მაგრამ შესაძლოა იყოს მატერიალური/არსებითი. მოქმედი კანონმდებლობის მიმდინარე/არსებული კლიმატის გათვალისწინებით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს არსებითი ვალდებულებები გარემოს დაზიანების შემთხვევაში.

შეთანხმებების შესრულება. კომპანია გარკვეული შეთანხმებების სუბიექტია, რაც უპირველეს ყოვლისა კომპანიის სესხებთანაა დაკავშირებული. შეთანხმებების შეუსაბამობა შესაძლოა იწვევდეს უარყოფით შედეგებს კომპანიისთვის, სესხების ხარჯების ზრდით და დეფოლტის გამოცხადებით. ჯგუფმა არ შეასრულა 2018 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული შეთანხმებები. იმის მიუხედავად, რომ კომპანიამ არ განაცხადა უარი საკუთარ უფლებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს, დარღვევა არ ჰქონდა ბანკს დეფოლტის წინაპირობად, ბანკიდან არ იქნა ჩანიშნული ნეგატიური შედეგები.

18 ბიზნეს-შერწყმა

2018 წლის 8 იანვარს კომპანიამ მოიპოვა სხვა დაკავშირებული მხარის - შპს „მაგნიტის“ საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა. მენეჯმენტმა აღრიცხა ტრანზაქცია, როგორც ბიზნეს-კომბინაცია, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ კომპანიამ შეიძინა შპს „მაგნიტის“ ყველა აქტივი და დაიწყო ოპერირება იმავე ადგილებში, სადაც ოპერირებდა კომპანია. უმეტესწილად ყველა თანამშრომელი გადავიდა შპს „რითეილ ჯგუფში“. მიღებული ოპერაციები გაზრდის კომპანიის შეღწევას შერჩეულ საცალო ბაზრებში და მოსალოდნელია მომგებიანობის გაუმჯობესება მასშტაბების ხარჯზე ეკონომიით .

კომბინაციის ღირებულება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

	2018	**2017**
შესყიდვის თანხა:	3,299	1,094
- გადახდილი ნაღდი ფული- 2019 წლის განმავლობაში	228	-
სულ შესყიდვის თანხა	**3,527**	**1,094**

შპს „მაგნიტის“ აქტივების სამართლიანი ღირებულება 2018 წლის 8 იანვრის მდგომარეობით შესყიდვის შედეგად შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

	სამართლიანი ღირებულება
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,104
საკუთრება და აღჭურვილობა (შენიშვნა 5)	1,810
არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა	72
მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულება	**3,986**
გუდვილი	**635**
სულ შესყიდვის თანხა	**4,621**

გუდვილი მიეწერება სამუშაო ძალას და ბიზნეს-ოპერაციებს/პროცესებს.

19 დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები

მხარეები ზოგადად მიიჩნევიან დაკავშირებულად იმ შემთხვევაში, თუ მხარეები საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის კონტროლი ან არსებითი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლის გამოყენება სხვა მხარესთან მიმართებაში ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლოა დაკავშირებული მხარის დამოკიდებულების განხილვისას, ყურადღება ექცევა დამოკიდებულების არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

გადასახდელი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებაში შემდეგნაირად განისაზღვრა:

ათასობით ქართულ ლარში		31.12.2018	31.12.2017
აქციონერების დებიტ. დავალიანება	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	2	1,559
სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანება	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	579	-
სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანება	ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები	30	1,291
სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანება	მენეჯმენტის მთავარი პერსონალი	19	-
სავაჭრო და სხვა საკრედ. დავალიანება	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	(1)	-
სავაჭრო და სხვა საკრედ. დავალიანება	ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები	(276)	-

„სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები“ არიან პირები, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის პირის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, რომელთანაც ისინი ახორციელებენ ტრანზაქციებს, 20%-ზე მეტი ხმის მიცემის უფლების მქონე ჯგუფის იურიდიული პირის კონტროლის მეშვეობით ან სხვაგვარად.

19 დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები (გაგრძელება)

ათასობით ქართულ ლარში		31.12.2018	31.12.2017
მომწოდებლებისგან მიღებული ფასდათმობა	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	846	-
ნედლეულისა და მოხმარების საგნების შესყიდვა	ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები	(2,108)	-
საკუთარების, საწარმოსა და აღჭურვილობის შესყიდვა	ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები	(2,399)	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები	(155)	-
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	(60)	-

წამყვანი მენეჯმენტის კომპენსაცია. წამყვანი მენეჯმენტისთვის გადასახდელი კომპენსაცია აღმასრულებელ პოზიციებზე დანიშნული პირების მიერ გაწეული მომსახურებისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასებისა და ბონუსებისგან 355 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელი: ნული).

20 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 193 მოქმედი სუპერმარკეტი, დამატებით 27 უნდა გაიხსნას წლის ბოლომდე.

2019 წლის მარტში, კომპანიამ დამატებით სესხი აიღო სს თიბისი ბანკისგან სულ 10 მილიონი ლარის ოდენობით. სესხი გადასახდელია 2024 წლის სექტემბერში და ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 10 %-ის ოდენობით.

შინაარსი

1. სუბიექტის ბიზნეს-განვითარება, პროდუქტიულობა და ადგილი 2
2. სუბიექტის სამომავლო განვითარების გეგმები; 4
3. სუბიექტის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების განხილვა; 4
4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ 4
5. საკვანძო ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები 5
6. დეტალური ინფორმაცია მისი აქციების შეძენის შესახებ 6
7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ახსნა-განმარტებები 6
8. სუბიექტის კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების განხილვა მისი მენეჯმენტისთვის 6
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან მიმართებაში 7

შპს „რითეილ ჯგუფი“

მმართველობითი ანგარიშგება 2018

1. სუბიექტის ბიზნეს-განვითარება, პროდუქტიულობა და ადგილი

შპს „რითეილ ჯგუფი“ დაარსდა 2017 წლის 7 ნოემბერს. სუპერმარკეტების ქსელმა ოპერირება დაიწყო 2018 წლის იანვრიდან „მაგნიტი“-ს სახელწოდებით.

კომპანიის მისია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: რეგიონში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მეტი აქტიურობის შეტანა.

მაგნიტის დევიზი: საქართველოს ყველა რეგიონში!

„მაგნიტი“ გახალავთ მრავალმხრივი, სტანდარტიზებული ფორმატების დისქაუნთერ მარკეტების ქსელი თბილისში და აქცენტით საქართველოს რეგიონებში.

მაგნიტის ქსელის გაფართოვება დაგეგმილია ყველა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, ქალაქებსა და სოფლებში.

სუპერმარკეტები წარმოდგენილია მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ასორტიმენტით და ბრენდებით, ყველა მაღაზიაში საჭირო + სასურველის სტრატეგია: ყოველდღიური მოხმარების, ასევე ფრეშ და მზა პროდუქტები, ექსკლუზიური ბრენდის პროდუქტები: საკვები და ქიმია.

სუპერმარკეტების ქსელი ორიენტირებულია მარტივი და სახალისო შოფინგის გამოცდილება გაუზიაროს მომხარებელს რეგიონებში.

კომპანიამ ოპერირება 2018 წლის დასაწყისში დაიწყო 22 სუპერმარკეტით, ხოლო 2018 წლის დასასრულს უკვე 117 სუპერმარკეტი ფუნქციონირებდა „მაგნიტი“-ს ბრენდის ქვეშ. გაფართოების შედეგად 2018 წლის მიწურულს კომპანიას უკვე ეჭირა ლიდერის პოზიცია რეგიონალური სუპერმარკეტების ქსელებში.

კომპანიის ზრდა მოხდა მხოლოდ ორგანული განვითარების მეშვეობით, სხვა ქსელის შესყიდვა არ მომხდარა. 2018 წელს კომპანია გაიზარდა დაახლოებით 5-ჯერ, რისი ფინანსური წყაროც იყო დამფუძნებელთა კაპიტალი.
2018 წლის განმავლობაში საშუალოდ ყოველთვიურად იხსნებოდა რვა სუპერმარკეტი.

სუპერმარკეტი „მაგნიტი“ მომხმარებელს სთავაზობს ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, ძირითადად პირველადი მოხმარების საგნები. კომპანიის ძირითადი დაპირება მომხარებლისთვის “ყოველდღიურად მაგნიტური ფასებია“, რითიც დაიმკვირდრა ბაზარზე ადგილი.

ლოჯისტიკა - 2018 წელს კომპანიას ჰქონდა ორი ცენტრალური საწყობი საქართველოს მასშტაბით. თბილისში, რომელიც ემსახურებოდა აღმოსავლეთ საქართველოს და ქუთაისი, რომელიც

ემსახურებოდა დასავლეთ საქართველოს. თუმცა სარეალიზაციო პროდუქციის 95%-ის მაღაზიებამდე ტრანსპორტირებას ახდენენ თავად დისტრიბუტორები.

კომპანიის სტრატეგია თავიდანვე იყო რეგიონებში ქსელის განვითარება და აღნიშნული სტრატეგია გაგრძელდა 2019 წელსაც. თბილისს გარეთ სუპერმარკეტების ქსელის განვითარება ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ რეგიონის მოსახლეობაშიც იყო მოთხოვნა პროდუქციის შეძენა მოეხდინათ ორგანიზებულ საცალო სავაჭრო ქსელში, ჰიგიენური ნორმების დაცვითა და ხელმისაწვდომ ფასად.

„მაგნიტი“ არის ბრენდი, რომელსაც ქალაქის თანამედროვე ცხოვრების რიტმი ჩააქვს რეგიონში, სხვადასხვა გადაკვეთებით ქმნის მიზიდულობის ცენტრს და არა მხოლოდ სუპერმარკეტს!

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თუ არ ჩავთვლით თვითდასაქმებულების რაოდენობას, უმუშევრობა რეგიონებში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია ვიდრე თბილისში. სუპერმარკეტების გახსნით რითეილ ჯგუფმა შექმნა სამუშაო ადგილები ამ რეგიონებში და მოსახლეობას მისცა დასაქმების საშუალება.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია 2018 წლის დასასრულს, კომპანიის მიერ ოპერირებადი 117 სუპერმარკეტის განაწილება საქართველოს რეგიონებად და სხვა სტატისტიკური ინფორმაცია:

რეგიონი	სუპერმარკეტების რაოდენობა	წილი	მოსახლეობა (ათ. კაცი)	უმუშევრობის დონე
მცხეთა-მთიანეთი	14	12%	78.08	60%
შიდა ქართლი	20	17%	212.98	62%
ქვემო ქართლი	13	11%	328.42	65%
თბილისი	7	6%	930.10	32%
იმერეთი	28	24%	455.94	61%
სამცხე ჯავახეთი	2	2%	132.40	71%
სამეგრელო - ზემო სვანეთი	20	17%	274.15	67%
კახეთი	12	10%	252.54	72%
გურია	1	1%	96.68	70%
სულ	**117**	**100%**		

**შენიშვნა - ცხრილში მოცემული მოსახლეობისა და უმუშევრობის დონის შესახებ ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდიდანwww.geostat.ge, ინფორმაცია მოცემულია 2018 წლის მდგომარეობით, მოსახლეობის რაოდენობა მოცემულია ათასებში, ხოლო უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით მოცემულია იმ დაშვებით რომ თვითდასაქმებულების რაოდენობა არ არის გათვალისწინებული დასაქმებულებში.*

„მაგნიტი“, როგორც რეგიონში ძლიერი ბრენდი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის უკეთესად ცხოვრებას, ქმნის ახალ შესაძლებლობებს დასაქმების, პროფესიული განვითარების, განათლების კუთხით. კომპანიას შეაქვს თანამედროვეობა და სიახლეები, შეაქვს ისეთი პროდუქტები რაც მათთვის აქამდე მარტივად ხელმისაწვდომი არ იყო.
ქმნის ახალ ინფრასტრუქტურას საინტერესო საყიდლებზე სიარულის გამოცდილებისთვის.

2. სუბიექტის სამომავლო განვითარების გეგმები;

2019 და შემდგო წლებში კომპანია კვლავ რჩება მისი ძირითადი სტრატეგიის ერთგული, რაც გულისხმობს ქსელის რეგიონალურად განვითარებას.

2019 წლის მდგომარეობით დამატებით ათვისებულია ახალი რეგიონი - აჭარა, ხოლო 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის სუპერმარკეტების რაოდენობა 193 ერთეულს ითვლის.

გარდა ახალი სუპერმარკეტების გახსნისა, კომპანია 2019 და შემდგომ წლებში ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის დახვეწაზე, მომხმარებლებისთვის უფრო სრულყოფილი და ფართო ასორტიმენტის პროდუქციის შეთავაზებაზე. პროცესების დახვეწასა და სუპერმარკეტების მერჩანდაიზინგულ სტანდარტიზაციაზე,

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი გზა არის თანამშრომლების მუდმივი ტრეინინგი, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, რასაც კომპანია მოახდენს საკუთარი ხარჯებით.

მოსახლეობისთვის ოპტიმალური ასორტიმენტის შეთავაზება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა კომპანიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს „რითეილ ჯგუფი“ ცდილობს მომხმარებელს მაქსიმალურად დაბალი ფასი შესთავაზოს, მისი სტრატეგიის ნაწილი არ არის მაღაზიაში შეზღუდული რაოდენობის ბრენდების შემოყვანა და მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვა.

გარდა ამისა, 2019 და შემდგომ წლებში კომპანია აპირებს ბაზარს შესთავაზოს სხვადასხვა სიახლეები და მარკეტინგული აქტივობები.

3. სუბიექტის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების განხილვა;

2018 წელს კომპანიას მნიშვნელოვანი აქტიურობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებით არ ჰქონია. ძირითადად ინოფმაციას იღებდა სახელმწიფოს სტატისტიკური მონაცემების საშუალებით.

4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიის სუპერმარკეტების ქსელი, როგორც პირველ პუნქტშია აღნიშნული მდებარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით, საქართველოს რვა რეგიონსა და თბილისში.

ყველა სუპერმარკეტი წარმოდგენილია დაახლოებით ერთნაირი კონცეფციით. კომპანია ინარჩუნებდა პროდუქციის ძირითადად ერთნაირ ასორტიმენტს ყველა სუპერმარკეტში, ერთიანი საფასო პოლიტიკითა და მოხმარებლებისთვის შეთავაზებული ერთნაირი და ერთდროული აქციებით.

საანგარიშო წელს არსებული სუპერმარკეტების საშუალო ფართი შეადგენს 200 კვ.მ.-ს.

5. საკვანძო ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ვინაიდან 2018 წელი არის კომპანიის არსებობის პირველი წელი, შესადარისი ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი)

1) კომპანიის საერთო მოგება შეადგებს 10.7 მილიონ ლარს, შესაბამისად, საერთო მოგების მარჟა იყო 15.4%.
2) მთლიანი შემოსავლების 100% მოდის უშუალოდ მაღაზიიდან საბოლოო მომხმარებელზე პროდუქციის გაყიდვაზე. ასეთი სახის რეალიზაციამ 2018 წელს შეადგინა დღგ-ს გარეშე 69.4 მლნ ლარი
3) სხვა შემოსავლის 74%-ს შეადგენს შემოსავალი იჯარიდან (0.26 მილიონი ლარი).
4) გარდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა, ყველაზე მსხვილი ხარჯის მუხლი არის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც მთლიანი ხარჯების 15%-ს შეადგენს და 2018 წელს 10.9 მლნ ლარის ტოლია.
    a. აღნიშნული ხარჯიდან ყველაზე მსხვილია სუპერმარკეტების თანამშრომლების ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული სხვა განაცემები - 3.8 მლნ ლარი
    b. ასევე მსხვილი წილი უჭირავს ამ ხარჯებში სუპერმარკეტების იჯარას, რომელიც 2018 წელს 2.4 მლნ ლარი შეადგენს.
5) კომპანიის ფიქსირებული აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15.2 მლნ ლარს. აღნიშნული კაპიტალური დაბანდებები სრულად განხორციელებულია 2018 წელს და ემსახურებოდა ახალი სუპერმარკეტების გახსნას მთელი საქართველოს მასშტაბით
6) კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება შეადგენს 12.9 მლნ ლარს. ეს პროდუქცია გადანაწილებულია კომპანიის მიერ ოპერირებად 117 სუპერმარკეტსა და ორ საწყობში.
7) კომპანიას ასევე ჰყავს დებიტორები, რომელიც არის მომწოდებლებისგან მისაღები რეტრო ბონუსების თანხები. აღნიშნული აქტივის მოცულობამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2.8 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ იგივე კომპანიები ფიგურირებენ სავაჭრო ვალდებულებების ნაწილშიც - ჯამური სავაჭრო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 18.6 მლნ ლარის ტოლია
8) კომპანია 2018 წელს სარგებლობდა სს „თიბისი ბანკი“-ს საკრედიტო ხაზით 5 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული საკრედიტო ხაზი არის ერთ წლიანი, თუმცა შინაარსობრივად გრძელვადიანი კრედიტია, ვინაიდან ვადის გასვლისას უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება ანალოგიური პირობებით

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

1) 2018 წლის დასასრულს კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 1,700 თანამშრომელი, ხოლო 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა უტოლდება 3,000 ადამიანს.
2) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა 74% ქალია, ხოლო 26% მამაკაცი.
3) დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით გადანაწილებულია დაახლოებით იგივე პროპორციით, როგორც გადანაწილებულია სუპერმარკეტების რაოდენობები

4) 2017 წელს კომპანიას ჰყავდა ორი თანამშრომელი, შესაბამისად, საშუალოდ ყოველთვიურად 2018 წელს ასაქმებდა 140 ადამიანს.
5) შპს „რითეილ ჯგუფი“ ორიენტირებული არ არის უძრავ ქონებაში თანხის დაბანდებაზე, კომპანიის სტრატეგიაა სუპერმარკეტების ქსელის განვითარება. შესაბამისად კომპანიის 117 სუპერმარკეტიდან მხოლოდ ორი არის საკუთრებაში, დანარჩენი სუპერმარკეტები აღებულია იჯარით.

6. დეტალური ინფორმაცია მისი აქციების შეძენის შესახებ

ეს ინფორმაცია კომპანიისთვის არარელევანტურია

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, რაც გამოიხატება შემდეგში:
1) კომპანიის ვალდებულებების 100% დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში;
2) კომპანია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შევიდა ისეთ რეგიონებში, სადაც ორგანიზებული საცალო ვაჭრობა არ არსებობდა. აქედან გამომდინარე მას ჰყავს ლოიალური მომხმარებლები, რამდენადაც ეს ამ სექტორში შესაძლებელია;
3) ბრენდის ცნობადობა საკმაოდ მაღალია იმ რეგიონებში, სადაც სუპერმარკეტი „მაგნიტი“ ოპერირებს;
4) კომპანია არ არის დამოკიდებული დებიტორებისგან თანხების დროულად მიღებაზე. მისი დებიტორების აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ თავად შპს „რითეილ ჯგუფი“-ს აქვს კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღემატება დებიტორულ დავალიანებას.

8. სუბიექტის კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების განხილვა მისი მენეჯმენტისთვის

1) კომპანიას ფაქტიურად არ აქვს საკრედიტო რისკი, ვინაიდან მისი გაყიდვების 99% მოდის საბოლოო მომხმარებელზე მყისიერი გადახდის პირობით.

2) ლიკვიდურობის რისკი შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც კომპანიის ბალანსის სტრუქტურაში აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილში ვადიანობები მკვეთრად აცდენილია ერთმანეთს. 2018 წლის საბალანსო უწყისში ეს არ იკვეთება, ვინაიდან კომპანიის კაპიტალი შეადგენს გრძელვადიანი აქტივების 79%-ს. მიმდინარე ვალდებულებებში ფიქსირდება სს „თიბისი ბანკი“-ს 5 მლნ ლარის მოკლევადიანი სესხი, რომელიც გაცემულია 1 წლის ვადით, თუმცა ყოველწლიური განახლების პირობით. ეს ვალდებულებაც მისი შინაარსიდან გამომდინარე არის გრძელვადიანი, თუმცა დაკონტრაქტებულია 1 წლიანი ვადით და გაგრძელდება/ჩანაცვლდება ვადის გასვლის შემდეგ.

3) საბაზრო რისკად შეგვიძლია განვიხილოთ გაცვლითი კურსის მერყეობა და ლარის გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ვალდებულებების 100% დენომინირებულია ლარში, როგორც შესყიდვა ასევე გაყიდვა ხდება ეროვნულ ვალუტაში, ასეთი სახის რისკები კომპანიისთვის არ იკვეთება. რა თქმა უნდა, ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, იმპორტირებული პროდუქციის ფასი ლარში გაიზრდება და ამ შემთხვევაში შპს „რითეილ ჯგუფი“ იძულებული იქნება ფასების ეს ზრდა ასახოს მის მიერ დადგენილ გასაყიდ ფასში. ანალოგიურ მდგომარეობაში მოხვდებიან სხვა კონკურენტებიც, რაც კონკურენტებს შორის თანაფარდობას უცვლელად დატოვებს და არავის მისცემს კონკურენტულ უპირატესობას.

4) Cash-Flow-ს რისკი - ასეთი სახის რისკი ძირითადად დგება იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანია მის ხელთ არსებულ საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილ მოკლევადიან ფულად სახსრებს მიმართავს გრძელვადიან აქტივებში, შესაბამისად, მოკლევადიანი ვალდებულებების გასასტუმრებელი თანხები კომპანიას აღარ რჩება. კომპანიის მენეჯმენტს აქვს კონტროლი ამ პროცესებზე და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს. როგორც საბალანსო უწყისიდან ჩანს 2018 წლის კაპიტალური დაბანდებები განხორციელებულია დამფუძნებელთა კაპიტალით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან მიმართებაში

სექტორი, სადაც შპს „რითეილ ჯგუფი“ საქმიანობს ხასიათდება რამდენიმე სპეციფიკური რისკით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამათგან არის კონკურენციის რისკი. გამომდინარე იქიდან, რომ:

a) საცალო ვაჭრობის სექტორი არ ხასიათდება ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოსასვლელად შექმნილი მაღალი ბარიერებით. ამ სექტორში შემოსვლა ფაქტიურად შეუძლია ყველას, ვისაც აქვს საამისო ფინანსური რესურსი და მოიძებს შესაბამის კადრებს;
b) საცალო ვაჭრობის მომხმარებლები არ ხასიათდებიან განსაკუთრებული ლოიალურობით. ისინი ელასტიურები არიან სხვადასხვა ფაქტორების მიმართ და სხვა სექტორების მომხმარებლებთან შედარებით ადვილად გადაბირებადი არიან კონკურენტების მიერ;
c) 2018 წლის მონაცემებით კონკურენცია ბაზარზე არის ძალიან მძაფრი. კონკურენტები მაქსიმალურად ცდილობენ ბაზრის წილის მოპოვებას და მაქსიმალურად დიდი რაოდენობის საცალო ვაჭრობის ობიექტების გახსნას;

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკად, შესაძლებელია მივიჩნიოთ კონკურენტების გააქტიურება და შპს „რითეილ ჯგუფი“-ს მიერ ბაზრის წილის დაკარგვა. თუმცა კომპანია მუდმივად ცდილობს რომ შეისწავლოს და მყისიერად უპასუხოს მომხმარებელთა ახალ მოთხოვნილებებს, შესთავაზოს მას სიახლეები, დახვეწოს და ოპტიმალური გახადოს ასორტიმენტი, გაზარდოს მომსახურების ხარისხი. შედეგად საჭირო დროს კომპანია მზადყოფნაში შეხვდება კონკურენტების მხრიდან შესაძლო გააქტიურებას.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ამ თემაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს არის ის, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საცალო ვაჭრობის მხოლოდ 30-35% მოდის ორგანიზებულ საცალო ვაჭრობაზე. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბაზარზე არის თავისუფალი ადგილი, რომ დღეს არსებული სუპერმარკეტების ქსელები კიდევ განვითარდნენ და გაზარდონ ბაზრის წილი არაორგანიზებული საცალო ვაჭრობის ხარჯზე.

როგორც ყველა სხვა სექტორისთვის, საცალო ვაჭრობისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. ეკონომიკურად და პოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში, ვერც ერთი ბიზნესი ვერ განვითარდება და ვერ იქნება ფინანსურად მდგრადი, მათ შორის ეს ეხება საცალო ვაჭრობის სექტორში მოქმედ კომპანიებს. აქედან გამომდინარე ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია რისკების ანალიზისას. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს ქვეყანაში და საჭიროების შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი ზომები შესაძლო გართულებების პრევენციისთვის.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კომპანია ძირითადად ვაჭრობს პირველადი მოხმარების საგნებით, რაზეც არასტაბილური გარემო სხვა სექტორებთან შედარებით ყველაზე გვიან და ყველაზე ნაკლებად იმოქმედებს უარყოფითად.

მატერიალური ფასეულობების დაზიანების, დაკარგვის, მოპარვისა და გაფუჭების რისკი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია ამ სექტორისთვის, ვინაიდან ობიექტები გაშლილია მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ართულებს მატერიალური ფასეულობების მოვლა-პატრონობის პროცესს და მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯებს.

ამ რისკის დასაზღვევად კომპანიას შექმნილი აქვს ძლიერი და მობილური მონიტორინგის სამსახური, რომელიც მაქსიმალურად ჩართულია მატერიალური ფასეულობების პერიოდული აღწერისა და კონტროლის პროცესში.

როგორც საანგარიშო წლის შედეგებიდან ჩანს, კომპანიას 2018 წელს ჰქონდა მაღალი ზრდის ტემპი და იგივე ტემპის შენარჩუნება ხდება 2019 წელსაც. ცნობილია, რომ სწრაფ ზრდას თან ახლავს რიგი პრობლემებისა. ისეთი როგორებიც არის მიმდინარე საოპერაციო საკითხების მიმართ მენეჯმენტის ყურადღების მოდუნება, ლოჯისტიკური პრობლემები, ხარჯების არაეფექტური განაწილება და ა.შ. აღნიშნული საკითხის მიმართ კომპანიის მენეჯმენტს მართებს სათანადო ყურადღების გამოჩენა.

თარიღი

/ხელმოწერილია/

ლაშა ჩოჩელი

დირექტორი

/ხელმოწერილია/

გიორგი ტაბახმელაშვილი

ფინანსური დირექტორი